ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №64

14.08.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნინო რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **საბა ფიფია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30)

გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 ივლისის №12-03202063-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: საბა ფიფია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216134-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216135-03 წერილი; №12-03202047-03 წერილის (22.07.2020წ.) გადადებული მე-4 საკითხი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 აგვისტოს №12-0320223110-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 11 აგვისტოს №12-032022436-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

6. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 აგვისტოს №12-032022639-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 ივლისის №12-03202063-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა საბა ფიფიამ.

მომხსენებლის (ს. ფიფია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საშტატო ერთეულის რიცხოვნობა განსაზღვრულია 35 საშტატო ერთეულით. გამომდინარე იქიდან, რომ სამსახურს დაგეგმილი აქვს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები და პარკების მასშტაბური მშენებლობა, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ურბანულ საკითხებთან დაკავშირებულ სერვისებზე გაიზარდა მოქალაქეთა მიმართვები, მოქალაქეებისათვის სერვისის უფრო სწრაფად და გამართულად მიწოდებისთვის, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საშტატო ერთეულის რაოდენობა გაიზარდოს დამატებით 10 საშტატო ერთეულით, კერძოდ:

1. მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილებას დაემატოს 4 საშტატო ერთეული;
2. გარემოსდაცვითი მართვის განყოფილებას დაემატოს 2 საშტატო ერთეული;
3. სატყეო პოლიტიკის განყოფილებას დაემატოს 2 საშტატო ერთეული;
4. ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილებას დაემატოს 2 საშტატო ერთეული.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-14 მუხლის შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის გეგმაში მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა და ნაცვლად 35-სა შეადგინა 45 საშტატო ერთეული.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 ივლისის **№12-03202063-03 წერილით** წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 ივლისის **№12-03202063-03 წერილით** წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216134-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის №20.822.1049 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01202041898-67, №01201852537-67, №01201963036-67, №01202033110-67, №01202041622-67, №01201913574-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01202041898-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდუბეში, ლუბლიანას ქუჩა №21-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.007.065) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის №54 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდუბეში, ლუბლიანას ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.007.065) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01201852537-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ავჭალა №2-ის დასახლებაში, დიდგორის ქუჩა №41-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.352) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 ივლისის №01201903122 წერილის მიხედვით, სამსახური

თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია, ფაქტობრივი მდგომარეობით, წარმოადგენს განაშენიანებული ტერიტორიის ნაწილს და მასზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) შესაბამისობაში არ არის განაშენიანებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა ხორციელდება №72.13.36.352 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ №72.13.36.363, №72.13.36.364, №72.13.36.385, №72.13.36.351, №72.13.36.340, №72.13.36.349, №72.13.36.339, №72.13.36.341, №72.13.36.407 საკადასტრო ერთეულებზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 24 ივლისის №18-01202061744 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.363, №72.13.36.364, №72.13.36.385, №72.13.36.351, №72.13.36.340, №72.13.36.349, №72.13.36.339, №72.13.36.341, №72.13.36.407) განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 -ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ავჭალა №2-ის დასახლებაში, დიდგორის ქუჩაზე მდებარე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.352, №72.13.36.363, №72.13.36.364, №72.13.36.385, №72.13.36.351, №72.13.36.340, №72.13.36.349, №72.13.36.339, №72.13.36.341, №72.13.36.407) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201963036-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სერგეი ლაზოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.019.391) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 22 ივლისის №18-01202041584 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202033110-67 განცხადებით,** ქალაქ

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №27გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.005) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 27 ივლისის №01202092444 წერილის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია განვითარებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-15 მუხლით დაწესებული სატრანსპორტო ზონა 2-ით მოცული შენობა-ნაგებობებით, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01202041622-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალაზნის შესახვევის №2, №5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდი: №01.17.01.069.009, №01.17.01.087.001) შორის მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 22 ივლისის №01202042038 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ფაქტობრივად წარმოადგენს გზას. შესაბამისად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის აღნიშნული მონაკვეთი დაიტვირთება სერვიტუტით და შენარჩუნდება არსებული კავშირი.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01201913574-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში („თელოვანი") მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.587) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური რუკის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 22 ივლისის №18-01202041636 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ არეალზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.093.967, №01.72.14.003.353, №01.72.14.003.391, №01.72.14.003.824, №01.72.14.003.751, №01.72.14.003.721, №01.72.14.093.078, №01.72.14.093.223, №01.72.14.093.224, №01.72.14.093.205, №01.72.14.093.221, №01.72.14.093.222, №01.72.14.093.064, №01.72.14.093.072, №01.72.14.093.305, №01.72.14.003.112, №01.72.14.003.118, №01.72.14.003.120, №01.72.14.093.948, №01.72.14.003.936, №01.72.14.094.586, №01.72.14.094.587, №01.72.14.094.848, №01.72.14.094.687, №01.72.14.094.688, №01.72.14.094.689, №01.72.14.094.813, №01.72.14.094.876, №01.72.14.053.076, №01.72.14.053.077, №01.72.14.053.123, №01.72.14.053.124, №01.72.14.053.122, №01.72.14.053.086, №01.72.14.094.606, №01.72.14.094.607, №01.72.14.053.720, №01.72.14.093.220, №01.72.14.003.962, №01.72.14.003.040) განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202041898-67, №01201852537-67, №01201963036-67, №01202033110-67, №01202041622-67 და №01201913574-67 განცხადებასთან (სულ: 6 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216134-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01202041898-67, №01201852537-67, №01201963036-67, №01202033110-67, №01202041622-67, №01201913574-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216134-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01202041898-67, №01201852537-67, №01201963036-67, №01202033110-67, №01202041622-67, №01201913574-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216135-03 წერილი; №12-03202047-03 წერილის (22.07.2020წ.) გადადებული მე-4 საკითხი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2020 წლის 24 ივლისის კომისიის სხდომაზე (ოქმი №63) მიღებული გადაწყვეტილებით, №01.16.06.019.032 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (არეალის) განაშენიანებისა და ადგილმდებარეობის, ასევე, ქალაგეგმარებითი განვითარების თაობაზე დამატებითი და დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებულ იქნა **№01201553101-67 განცხადებით (წერილი** №12-03202047-03 22.07.2020წ.) **მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხი.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01201553101-67 განცხადებით** მოთხოვნილია

ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებული განაშენიანება არ წარმოადგენს სამრეწველო ფუნქციით დატვირთულ ტერიტორიას.

ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხი დადებითად შეფასდა და მოწონებულ იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.739.937 განკარგულებით (განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი). თუმცა, №01.16.06.019.032 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებული განაშენიანების და ტერიტორიის მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ქალაგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, №01.16.06.019.032 საკადასტრო ერთეულზე არ განთავსდეს 20 მეტრზე მარალი შენობა-ნაგებობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2020 წლის 30 ივლისის №20.837.1056 განკარგულებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.739.937 განკარგულებაში შეიტანა ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დ) ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს 20 მეტრის სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსების პირობით (საერთო ფართობი: 3 454 კვ.მ.)."

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.739.937 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020

წლის 30 ივლისის №20.837.1056 განკარგულების შესახებ საკრებულოს ეცნობა ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 3 აგვისტოს №12-0320216135-03 წერილით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201553101-67 განცხადებით *(წერილი №12-03202047-03* 22.07.2020წ; და წერილი №12-0320216135-03 03.08.2020წ;) მოთხოვნილი ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა №01201553101-67 განცხადებით *(წერილი №12-03202047-03* 22.07.2020წ; და წერილი №12-0320216135-03 03.08.2020წ;) მოთხოვნილი ზონის ცვლილების წინადადების (ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს 20 მეტრის სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსების პირობით (საერთო ფართობი: 3 454 კვ.მ.)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს №01201553101-67 განცხადებით *(წერილი №12-03202047-03* 22.07.2020წ; და წერილი №12-0320216135-03 03.08.2020წ;) მოთხოვნილი ზონის ცვლილების საკითხის (ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს 20 მეტრის სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსების პირობით (საერთო ფართობი: 3 454 კვ.მ.)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 აგვისტოს №12-0320223110-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტებით რიგ შემთხვევაში იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №20.851.1089 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით წარმოდგენილია 5 წინადადება - №0120204250-67, №0120197358-67(№01201972949-67), №01201842755-67, №01202052669-67, №01201982046-67.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120204250-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №81.02.07.358-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №01202164 წერილის თანახმად, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება არ შეცვლის გზის კონფიგურაციას, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №81.02.07.358-ის მიმდებარედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0120197358-67(№01201972949-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.10.817) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 2 აგვისტოს №012021519 წერილის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს მთავარ გზას და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება უარყოფითად არ იმოქმედებს მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარებაზე.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201842755-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რაჭის ქუჩა №5-სა და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში, რაჭის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.278, №81.08.28.277) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა ხორციელდება №81.08.28.278 და №81.08.28.277 საკადასტრო ერთეულების მიმდებარე ტერიტორიაზეც, ვინაიდან „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად, ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, საპროექტო არეალი განვითარებულია აღნიშნული ზონირებით და განაშენიანება ხასიათდება დაბალი ინტენსივობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რაჭის ქუჩა №5-სა და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში, რაჭის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.278, №81.08.28.277 და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება (ცვლილების საერთო ფართობი: 44 815 კვ.მ.) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202052669-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ დიდებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.08.875) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №01202166 წერილის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებს გააჩნიათ ალტერნატიული მისასვლელი გზა. შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება უარყოფითად არ იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარებაზე.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01201982046-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევში, №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.094) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 ივლისის №18-01202122714 წერილის მიხედვით, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), განხორციელდეს მოთხოვნილი სატყეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ფენის მოხსნა

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120204250-67, №0120197358-67(№01201972949-67), №01201842755-67, №01202052669-67 და

№01201982046-67 განცხადებასთან (სულ: 5 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 აგვისტოს №12-0320223110-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120204250-67, №0120197358-67(№01201972949-67), №01201842755-67, №01202052669-67, №01201982046-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 აგვისტოს №12-0320223110-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120204250-67, №0120197358-67(№01201972949-67), №01201842755-67, №01202052669-67, №01201982046-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 11 აგვისტოს №12-032022436-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №20.864.1087 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01202043443-67, №012018593-67, №0120191506-67, №01202052364-67, №01202031601-67, №01201972918-67, №01202111651-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01202043443-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩა №100-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.029.011) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 28 ივლისის №01202103464 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. საპროექტო მიწის ნაკვეთი ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს №01.12.12.029.011 საკადასტრო ერთეულამდე მისასვლელ გზას.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012018593-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში. ვ. ხორნაულის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.05.498) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

№81.21.05.498 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს კვეთს სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), რომელიც წარმოადგენს რუკის ხარვეზს და ამოვარდნილია ერთიანი კონტურიდან.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 29 ივლისის №01202113549 წერილის მიხედვით, ვინაიდან სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებით არ ირღვევა ფაქტობრივად არსებული გზის კონფიგურაცია, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0120191506-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №167-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.09.160) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

№81.21.09.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, გავრცელდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ).

დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №20.864.1087 განკარგულების აღწერილობითი ნაწილის „გ" ქვეპუნქტში და ასევე, პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც გასწორდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს №20.907.1139 განკარგულებით (აღნიშნულის შესახებ საკრებულოს ეცნობა 2020 წლის 14 აგვისტოს №12-032022711-03 წერილით). კერძოდ, გზის ლოგიკური კონტურის შეკვრისა და ფაქტობრივ მდგომარეობაზე მორგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №81.21.09.160 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, ასევე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, *ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №167-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.09.160) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით.*

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202052364-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.046) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისთვის საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.046) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01202031601-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, თამაზ მუჯირიშვილის №37-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.02.008.125) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 29 ივლისის №01202112425 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა არ წარმოადგენს სხვა საკადასტრო მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელ გზას, მისი ცვლილებით არ დაირღვევა სატრანსპორტო სქემის კონფიგურაცია და შესაბამისად, სამომავლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა არ ექნება.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01201972918-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაისის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.11.015.027) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №01202165 წერილით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია №01.12.11.015.027 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ნაწილზე და ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01202111651-67 განცხადებით,** სანთლის შესახვევი №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.057.057) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის

(რზ-2) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელება.

№01.16.06.057.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ინტენსიური გამწვანება და წარმოადგენს განაშენიანებულ მიწის ნაკვეთს (მასზე დგას შენობა-ნაგებობა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 ივლისის №18-01202121310 წერილით, სამსახური თანახმაა, განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202043443-67, №012018593-67, №0120191506-67, №01202052364-67, №01202031601-67, №01201972918-67 და №01202111651-67 განცხადებასთან (სულ: 7 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 11 აგვისტოს №12-032022436-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01202043443-67, №012018593-67, №0120191506-67, №01202052364-67, №01202031601-67, №01201972918-67, №01202111651-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 11 აგვისტოს №12-032022436-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01202043443-67, №012018593-67, №0120191506-67, №01202052364-67, №01202031601-67, №01201972918-67, №01202111651-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 აგვისტოს №12-032022639-03 წერილი)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.894.1132 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 12 წინადადება - №01201971233-67, №01202121150-67, №01201971090-67, №01202061607-67, №0120219886-67, №01200701731-67(№0120173118-67), №01201893199-67, №01202023487-67, №0120080665-67, №01202202-67, №01202023612-67, №0120055988-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01201971233-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გუთნის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.125.028) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

№01.17.01.125.028 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს, რადგან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გადადის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და ფარავს მასზე არსებულ შენობა-ნაგებობას.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 5 აგვისტოს №01202183399 წერილის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა არ წარმოადგენს სხვა საკადასტრო ერთეულებამდე მისასვლელ გზას და მისი ცვლილებით არ დაირღვევა სატრანსპორტო ზონის კონფიგურაცია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01202121150-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კაჭრეთის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.078.030) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 5 აგვისტოს №01202183392 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება საცხოვრებელი სახლის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილზე, რომელიც შემოსაზღვრულია ბეტონის ღობით. არსებული მონაკვეთი ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ასევე ვრცელდება საცხოვრებელი ეზოს სამხრეთ ნაწილზეც, რომელიც საზოგადოებრივი სივრცის - გზის (ტროტუარი) ნაწილია. შესაბამისად, სამსახური ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილებას ეთანხმება საცხოვრებელი ეზოს მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილზე.

გარდა ამისა, №01.12.13.078.030 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ხარვეზის სახით ფარავს მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობას.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201971090-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სამხედრო დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.004.311) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელ ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ტერიტორია ხასიათდება არაერთგვაროვანი, შერეული განაშენიანებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 5 აგვისტოს №18-01202181814 წერილით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202061607-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.008.009) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ტერიტორია ხასიათდება დაბალი ინტენსივობის შერეული განაშენიანებით. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.17.008.009 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 5 აგვისტოს №18-01202181969 წერილის თანახმად, სამსახური აცხადებს თანხმობას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0120219886-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.022.223) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური გამწვანებული ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული აუზის ფუნდამენტზე იგეგმება მსუბუქი კონსტრუქციის, საოფისე შენობის განთავსება, რაც გამორიცხავს მიმდებარედ არსებული ხე-ნარგავების დაზიანებას.

გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №18-01201693176 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა იმ პირობით, რომ სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება მასზე არსებული მწვანე ნარგავები.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01200701731-67(№0120173118-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მარაბდის ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082; №01.14.11.064.086) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით

განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა ხორციელდება მიმდებარედ არსებულ №01.14.11.064.098 და №01.14.11.064.088 საკადასტრო ერთეულების ნაწილზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202922 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082, №01.14.11.064.086, №01.14.11.064.098, №01.14.11.064.088) ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

დამატებითი ინფორმაციის სახით აღინიშნა, რომ გარემოს დაცვის, ასევე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიების 2020 წლის 24 ივლისის გაერთიანებულ სხდომაზე (გარემოს დაცვის კომისიის სხდომის ოქმი №63) განხილული იქნა №12-03202053-03 წერილით (23.07.2020წ.) წარმოდგენილი მე-2 და მე-3 წინადადება (განცხადება **№01200701731-67 და №0120173118-67)** ქალაქ თბილისში, მარაბდის ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082; №01.14.11.064.086) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის შესახებ, რომლის განხილვაც გადაიდო ზემოაღნიშნული საკადასტრო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე (მთლიან არეალზე), ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის მიზანშეწონილობის გამო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს რა კომისიებისა და საკრებულოს პოზიცია, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ქალაქ თბილისში, მარაბდის ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082; №01.14.11.064.086, №01.14.11.064.098, №01.14.11.064.088) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა ისტორიული ლანდშაფტის შეზღუდვის კონტურამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარაბდის ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082; №01.14.11.064.086,

№01.14.11.064.098, №01.14.11.064.088) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01201893199-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლებაში, სვანეთის I ჩიხის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.35.005) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

№72.13.35.005 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202919 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე მოიხსნას ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01202023487-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზღვისუბანში, XI მ/რ, III კვარტალი, №55 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.12.02.026.041, №01.12.02.026.027, №01.12.02.026.029) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა.

საპროექტოდ წარმოდგენილი სამი საკადასტრო ერთეულიდან №01.12.02.026.029 საკადასტრო ერთეულზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად არ ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური გამწვანების ფენა.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია კომერციული ობიექტების განთავსება, რომელიც მიმდებარე მაღალი ინტენსივობის განაშენიანების ტერიტორიის განვითარებისთვის ხელსაყრელი იქნება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №18-01202162321 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა, მოიხსნას გამწვანებული რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზღვისუბანში, XI მ/რ, III კვარტალი, №55 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი:

№01.12.02.026.041, №01.12.02.026.027) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№0120080665-67 განცხადებით,** ქალაქ თბილიში, მელიტონ ქანთარიას ქუჩასა და ნუცუბიძის II და IV მიკრორაიონებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.090, №01.14.02.010.030) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.14.02.010.090 და №01.14.02.010.030 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე, ასევე, მათ მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.079, №01.14.02.010.022, №01.14.02.010.063, №01.14.02.010.019) იცვლება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლს 11 აგვისტოს №18-01202242764 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო საკუთრებას და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ამასთანავე, №01.14.02.010.090 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე, ფაქტობრივი მდგომარეობით, განთავსებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მელიტონ ქანთარიას ქუჩასა და ნუცუბიძის II და IV მიკრორაიონებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.090, №01.14.02.010.030, №01.14.02.010.079, №01.14.02.010.022, №01.14.02.010.063, №01.14.02.010.019) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01202202-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქ. №9/ლიპტოვის ქ. №8/უცნობ გმირთა ქუჩა №7 და მიმდებარედ არსებულ მიწის

ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.524, №01.12.21.001.523, №01.12.21.001.179, №01.12.21.001.534, №01.12.21.001.047, №01.12.21.001.525, №01.12.21.001.538, №01.12.21.001.522, №01.12.21.001.210, №01.12.21.001.212) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში; თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის №318 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

განსახილველ წინადადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01202202-67 განცხადების** განხილვის გადადება.

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№01202023612-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზაჰესში, მშვიდობის (ყოფ. ულიანოვის) ქუჩა №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.01.214) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ტიპის რამდენიმე საწარმოო და სასაწყობე დანიშნულების შენობა. მიმდებარე განაშენიანებაც ხასიათდება მსგავსი ტიპის ობიექტების განლაგებით.

- განმარტებითი ბარათის „მ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - **№0120055988-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წერეთლის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 72.13.19.399) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №72.13.19.399 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე, ისევე როგორც მის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.19.398) იცვლება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 22 ივლისის №18-01202041633 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა №72.13.19.399 №72.13.19.398 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთებზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201971233-67, №01202121150-67, №01201971090-67, №01202061607-67, №0120219886-67, №01200701731-67(№0120173118-67), №01201893199-67, №01202023487-67, №0120080665-67, №01202023612-67 და №0120055988-67 განცხადებასთან (სულ: 11 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას №01202202-67 განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქ. №9/ლიპტოვის ქ. №8/უცნობ გმირთა ქუჩა №7 და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.524, №01.12.21.001.523, №01.12.21.001.179, №01.12.21.001.534, №01.12.21.001.047, №01.12.21.001.525, №01.12.21.001.538, №01.12.21.001.522, №01.12.21.001.210, №01.12.21.001.212) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 13 აგვისტოს №12-032022639-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 11 წინადადება - №01201971233-67, №01202121150-67, №01201971090-67, №01202061607-67, №0120219886-67, №01200701731-67(№0120173118-67), №01201893199-67, №01202023487-67, №0120080665-67, №01202023612-67, №0120055988-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01202202-67 განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქ. №9/ლიპტოვის ქ. №8/უცნობ გმირთა ქუჩა №7 და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.524, №01.12.21.001.523, №01.12.21.001.179, №01.12.21.001.534, №01.12.21.001.047, №01.12.21.001.525, №01.12.21.001.538, №01.12.21.001.522, №01.12.21.001.210, №01.12.21.001.212) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 13 აგვისტოს №12-032022639-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 11 წინადადება - №01201971233-67, №01202121150-67, №01201971090-67, №01202061607-67, №0120219886-67, №01200701731-67(№0120173118-67), №01201893199-67, №01202023487-67, №0120080665-67, №01202023612-67, №0120055988-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შეთანხმებულია:

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი